

4
1963

საქართველოს
ბიზნეს-საბჭო



გაქრთავის ჩვეულება

- რას მოითხოვთ საბოლოო სიტყვაში?
- თქვენ რას მოითხოვთ, რომ გამამართლოთ?

№ 18 თბილისის საბჭოთაობა 1963

საბჭო

გაერთიანების 41-ე წელი, მაისი 20 კვ.

დალოცვილი მხარეა კახეთი. შემოდგომაზე აქ მარნები შიოს მარნებად იქცევა, ღვინის ქარხნებში ტევა არ არის. სვი, რამდენიც გინდა, ასვი, რამდენიც უნდა, ჩააბარე, გაყიდე, იყიდება ღვინო, ილევა, ილევა და მაინც არ ილევა.

ბევრი კოლმეურნე პატიოსნად ყიდის თავის ნაშრომს. ზოგიერთი კი ღვინოს ცხრაჯერ აზიარებს და ცხრამთას იქით უნდა გაასაღოს სპეკულაციურ ფასებში.


სწორედ ასეთი მიზნებით იყვნენ გამსჭვალულნი შვიდნი გურჯაანელი, ვ. ყვირილაშვილი, ნ. ნიბლაძე, მ. არაქელავი, თ. გოგიაშვილი, ვ. ქაჩიშვილი, ი. გურგენაშვილი და რ. გოგოლაშვილი. სანადიროდ არ წასულან ისინი, ხორცი არ მოუმრავლებიათ, არც თოფი უსერიათ, მაგრამ ცხრა მთას იქით წააგორეს 75 კასრი, 35 ტონა ტანინიანი ღვინო აზერბაიჯანის სსრ ყაზახეთის რაიონის ქ. ტაუზისაკენ. კოოპკასადების სექციაში შეიპირეს უფროსობა, რომ ჩაიბარებდნენ ღვინოს და ტამბოვში გაუყიდდნენ. გვიშუამავლეთ და მალარიჩი ჩვენზე იყოსო. იმათაც პასუხი არ დაუყოვნეს, გიშუამდგომლებთ და მალარიჩი თქვენზე იყოსო.

ხალტურის მანქანები წაარიხინეს თბილისიდან გურჯაანში, დატვირთეს კასრებითა და ჰაიდა, გასწიეს შვიდთა გურჯაანელთა საშოვრისათვის, მიდიოდნენ არხეინად, ნელა-ნელა, მაგრამ უყელეს, გზა გადაუჭრეს, შეაჩერეს, მოაბრუნებინეს მანქანები, ჩაატანინეს ისევ გურჯაანში.

დაინაწილეს პატრონებმა ნასეირნები ღვინოები, გადაიხადეს მანქანის ხარჯები, უსხედან ახლა სუფრას და იმღერიან:

გუშინ შვიდნი გურჯაანელი
საშოვარზე წასულიყვნენ,
ღვინო ვედარ გაეყიდათ,
ხარჯი მოემრავლებინათ.

ჰანწიაზვილი



— ქალბატონო პელო, ტელეფონზე გთხოვენ!
— არ აცლიან ადამიანს, რომ ბავშვებს ჭამა ასწავლოს!

ბათუმური კამფეტები

სად გაგონილა, რომ ადამიანმა ტკბილი-საგან მწარე მიიღოს, შაქარი ჰქონდეს და წიწკად ეჩვენებოდეს. 1963 წლის აპრილის თვეში ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკიდან მიღებული იქნა კამფეტები. დუშეთში დათვალეს ყუთების რაოდენობა, გადაიკითხეს ტრაფარეტებზე მიწერილი წონა და მიითვალეს აუწონავად.

— იქნებ სათითაო ყუთი გადაგვეწონა, — ჩაილაპარაკა დუშელმა.
— რას ამბობ, ძმაო, ფაბრიკა კამფეტის გულისათვის თავს ხომ არ შერცხვენს. ზედ ხომ აწერია, რა წონისაც არის და რა საჭიროა. — უპასუხა ბათუმელმა და მეტი სიმტკიცისათვის ღიმილიც დააყოლა.

გავიდა ხანი, აწონეს მუხრანში დუშეთიდან გამოგზავნილი ყუთი და, პოი საკვირველებავ, ნაცვლად 17 კილოსი 15 კილო აღმოჩნდა. აწონეს მცხეთაში და ნაცვლად ტრაფარეტზე მიწერილი 18 კილოსი, 16 კილო აღმოჩნდა. გადაწონილი იქნა მცხეთის სამომხმარებლო საზოგადოების საწყობში სათითაოდ 24 ყუთი და ნაცვლად ტრაფარეტით მქადაგებელი 431.9 კილოგრამისა 389.2 კილოგრამი აღმოჩნდა. 43 კილოგრამი კამფეტის დანაკლისმა 43 ქუხილივით გაიხშიანა მცხეთის საწყობში. ქუხილს ელვადებემა მოჰყვა, დეპეშას წერილი და ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკაში მწიფე მსხალივით ცვიოდა დუშეთიდან და მცხეთიდან გაგზავნილი წერილები და დეპეშები. „თქვენგან გამოგზავნილ კამფეტს აკლია, მესამეჯერ გთხოვთ, გამოგზავნოთ წარმომადგენელი“. „კამფეტი „ზაბაგა“ ფუჭდება, მეოთხეჯერ გთხოვთ ჩამოხვიდეთ“. „მესუთეჯერ გთხოვთ“, „მეექვსეჯერ გთხოვთ“, „მეშვიდეჯერ გთხოვთ“, მაგრამ ვის ეცალა დანაკლისისათვის, ბათუმის ფაბრიკის ზოგიერთი ხელმძღვანელი ახალ

ყუთებზე ახალ ტრაფარეტებს აკრავდა და თავს არ იწუხებდა.

— ხელი მოგვიწერეთ, არა, მორჩით და მოისვენეთ, ტყუილად თავს ნუ იწუხებთ, მაინც გული არ აგვიჩუყდება, მოტყუვდით? მოუარეთ ახლა თქვენს წამხდარ საქმეს.

რაკი დეპეშებმა და წერილებმა შედეგი არ გამოიღო, ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკის დირექცია ახლა ტელეფონის ზარმა შეაწუხა.

— ბათუმია? საკონდიტრო ფაბრიკა?
— გახლავთ.
— დუშეთიდან გირეკავთ, რა ქენით „ზაბაგაზე“.

— ჩვენ გართობისათვის სადა გვცალია, გეგმებს ვასრულებთ.

— გართობაზე „ზაბაგაზე“ გეკითხებით.
— ხაფავა არ მუშაობს ჩვენთან.
— ხაფავა კი არა ირისი, კაცო, ირისი.
— რალა დროს ივნისია, კაცო, აგვისტო გათავდა. — ჩაიხითხითა ვილაცამ და ჩამოკიდა ყურმილი.

ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკიდან დუშეთში გაგზავნილი, ტრაფარეტით შერცხვნილი და გალანძღული კამფეტებით სავსე ყუთები დღესაც მცხეთის სამომხმარებლო საზოგადოების საწყობში აწყვია და ელოდება მშობლიურ ბათუმელებს, მაგრამ კამფეტისათვის ჭისა სცალია, ფაბრიკის მუშაკებს თავქვეშ დუშეთის სამომხმარებლო კოოპერატივის 18 აპრილის მინდობილობა № 709 აქვთ ამოღებული და არხეინად გრძნობენ თავს. მაგრამ როდემდის!

უშალეს კეხიჯვრელ ილია ფარქაშვილს: ექიმი არა ხარ, ფარმაკევტი არა ხარ, მკურნალობის არაფერი გაგეგება და დეტეი შენს ტყავში, თუ კაცი ხარ და ნუ წამლავ ხალხს მყრალ-მყრალი ბალახების ნახარშითო. უშალეს და მოუშალეს „ლაბორატორია“.

ილიამ წარბი მწყრალად აზიდა და ბრძანა, ხელს ნუ მიშლითო.

რაკი არ დაიშალა თავისი, გაკოჭეს ილია და მისცეს სამართალში.

მაგრამ მაინც გულმონწყალედ მოექცნენ, შეიბრალებს, შეიცოდეს, პირველი შემთხვევაა, მის ნახარშებს ბევრი მსხვერპლი არ მოჰყოლია და გამოსწორების საშუალება მიეცეთო და 1961 წ. სამი წლის პირობითი სასჯელით დაკმაყოფილდნენ.

წამოვიდა შინ კმაყოფილი ილია და ისევ თიბა და თიბა ნაირნაირი ბალახები, ხარშა და ხარშა და ყიდა და ყიდა.

ისევ გამოუძახეს სასამართლოში ილიას, ისევ წაუკითხეს „ნოტაცია“, ისევ დაარჩევს ჭკუა, მაგრამ მერე ისევ მიიღეს მხედველობაში, რომ ილია „პატიოსანი“ კაცია, რომ მისი წამლები ავადმყოფებს, მართალია, არ არჩენს, მაგრამ, სამაგიეროდ, მაინცდამაინც ფეხებსაც არ აფშეკინებს და ისევ პირობითი სასჯელით დაკმაყოფილდნენ.

ილიამ ისევ გაშალა მოღვაწეობა, დღე ერთი და ოცი ავადმყოფი ან ავადმყოფის კარგად მყოფი ახლობელი უსათუოდ ეწვევა ილიას, ილია უსმენს პაციენტს, ან პაციენტის კეთილისმყოფელს, მერე თავს ჩაიქნევს ბრძნულად, დარბაისლურად, გაივლ-გამოვივლის, დაფიქრდება, მერე ისევ დაფიქრდება და, ბოლოს, მისცემს პაციენტს ამღვრეულ წყალს, რომელიმე უწყინარი ბალახის ნახარშს, ფულს ოხვრით ჩაიდებს ჯიბეში, გაისტუმრებს პაციენტს და ღიმილით გაბადრული ჩაეშვება სავარძელში.

ახლაც არა ზიდეს ფარქაშვილის ნუგბარი და უებარი წამლით გაბიბინებულმა შუშებმა ამღვრეული წყალი. ისევ

უჩივლეს ფარქაშვილს და სამართალში მისცეს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ილიას დიდი უბედურება მაინც არ ემუქრება, უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნია ამ საქმეში, და რა უნდა ჯერ იყო სამართალში მიცემული, მაგრამ ორჯერვე რომ გამოვიდა მშრალზე უვნებელი და ახლაც, რა ღმერთი გაწყრება, რომ თავი არ დაიძვრინოს.

ასე იყო ამჯერადაც, ილიას საქციელით აღშფოთდნენ სამართლის მსახურნი, აღშფოთდნენ კი არა, განრისხდნენ, ამ კაცს წესრიგისაკენ უნდა მოვუწოდოთ, უნდა მოვაშლევინოთ ექიმაშობა, სად გაგონილა, კაცო, ექიმებით გაესებულ ქვეყანაში ექიმბაში აქიმობდეს და ფარმაკევტობდეს, ან ხალხი რამ დააბრმავა, პროფესორებს გვერდს რომ უვლიან და ვილაც ბალახინაყიასთან რომ დაიარებიანო, მაგრამ, მერე გაითვალისწინეს, რომ ფარქაშვილს ორი სახლი აქვს, ერთი მათგანი აგერ დედაქალაქში, სპორტის სასახლესთან, მეორე იქვე სოფელში. ფარქაშვილს რომ თავისუფლება აღვუკვეთოთ, აბა ვილამ უპატრონოს იმ სახლებს, უპატრონოდ სახლებს ვერ დავტოვებთ, და, ამიტომ, ნუ აღვუკვეთთ ფარქაშვილს თავისუფლებას, თავის უფლებებში დავტოვოთ. და დატოვეს კიდეც.

ახლაც რა თქმა უნდა, ჩამოუთვლიან ცოდვებს, კეთილსინდისიერის იურიდიულის ენით აღწერენ მის „ღვაწლს“ სამამულო მედიცინის განვითარებასა და დანერგვაში, საბრალდებლო სკამზეც დასვამენ ერთი რამდენიმე წუთით, მაგრამ მერე მხედველობაში მიიღებენ, რომ მაინცდამაინც ბევრი არ დაუსახიჩრებია, ხალხი არ დაუხოციაო და ყველა შემამსუბუქებელ გარემოებათა აღნუსხვისა და წესრიგში მოყვანის შემდეგ ისევ პირობითი სასჯელით გამოუშვებენ.

მერე ერთ ხანს მოეშვებიან და ფართოდ გააშლევინებენ „მოღვაწეობას“ და მერე ისევ წაუჭერენ ხელს.

ილიას „მოღვაწეობას“ ბოლოს და ბოლოს დროა ბოლო მოეღოს.

ს. გუშაკოვი

ბულაჩაურში დეიდა მაროს...

ბათუმში კი არა, ბულაჩაურში მინდოდა დამერეკა.

2 სექტემბერს ყურმილი ავიღე და დუშეთში დავრეკე:

— დუშეთია?... —

— არის. — იყო პასუხი.

— ბულაჩაური მალაპარაკე, გენაცვალე, საჩქაროდ!

— რას ამბობ, როდის იყო, რომ

დუშეთიდან ბულაჩაურს ვუკავშირდებოდით.

— აბა...

— მცხეთას დაურეკეთ, მცხეთას!.. — დამიტია დუშეთიდან ვილაცამ და ტელეფონის ყურმილი დამიკიდა.

— მცხეთა... მცხეთა არის?

— გახლავთ...

— ბულაჩაური მალაპარაკეთ, ბულაჩაური...

— ციდან ხომ არა ხარ ჩამოსული, კაცო, როდის იყო, რომ ბულაჩაურს ვუკავშირდებოდით. დაურეკეთ თბილისში საქალაქთაშორისოს, საქალაქთაშორისო დაურეკავს დუშეთს, დუშეთი — ჭოპორტს, ჭოპორტი — ბულაჩაურს და საქმეც გათავდება.

— დუშეთია?... მალაპარაკე ჭოპორტი.

საკმაო პაუზის შემდეგ ყურმილში ობობას ქსელში გაბმული ბუზის ხმასავით ბზული გაისმა და მომესმა პასუხი:

— რა არის, რომ დაანგრეთ ტელეფონი, რა გინდათ, რა!..

— ბულაჩაურის მეტი არაფერი. მალაპარაკე, გენაცვალე, საჩქაროდ.

— აი კიდეც საკვირველება. რა უნდა ჩვენთან ბულაჩაურს?

— აბა...

— დაურეკეთ მცხეთას, მცხეთა დაურეკავს ნატახტარს, ნატახტარი — ბულაჩაურს და ელაპარაკეთ მერე რამდენიც გინდათ!

— ალო... ალო... ნატახტარია?

— დიახ... დიახ...

— მალაპარაკეთ ბულაჩაური.

— მიკვირს და გამკვირვებია, სად ნატახტარი და სად ბულაჩაური! საიდან სადაო და წმიდა საბაო, სწორედ თქვენზეა გამოჭრილი.

— აბა, მაშ რა გქნა?

— დაურეკეთ მცხეთას, მცხეთა დაურეკავს ნარეკავს, ნარეკავი დაურეკავს ბულაჩაურს და მერე თქვენ იცით...

— ნარეკავია?

— დიახ.

— მალაპარაკეთ ბულაჩაური!

— მერე, ნარეკავში ბულაჩაურა რა უნდა?!

— აბა, მაშ აღარ არის ამ ქვეყნად ბულაჩაური, ცაში აორთქლდა დეიდა მარო, ან იქნებ მოსკოვში წავიდი და იქიდან დავრეკო?..

— არ ვიცი, გინდა მოსკოვში წავიდი, გინდა ბათუმში, ეგ მე არ მეხება, მაგისთანა საქმეებში ვერ ჩავერევი.

მთელი დღე ტელეფონს ვუტრი-ალე. დავიღალე და დავღალე თბილისის მორიგეები, კიდეც ერთხელ დავურეკე დუშეთის მორიგეს, კიდეც ერთხელ დავუყვირე ჭოპორტის მორიგეს, კიდეც ერთხელ შევხვეწე ნარეკავის მორიგეს, მაგრამ ბულაჩაურს მაინც ვერ დავუკავშირდი.

ძველ დროში ციხის ბურჯებზე ცეცხლს ანთებდნენ და ასე ატყობინებდნენ ერთმანეთს ჭირსა და ღვინს. იქნება დამავალს დუშეთის მორიგემ მთაზე ავიდეს, კოცონი გააჩალოს, კოცონს ჭოპორტში დაინახავენ, ჭოპორტის ფოსტის მუშაკები თავის მხრივ ბოლიანი ცეცხლით ბულაჩაურში შეატყობინებენ დეიდა მაროს, რომ თბილისში ბუბიაჩემი პელაგია ავად არის და მის ნახვას ნატრულობს. ეს იქნება და ეს, აღარც ტელეფონი დავკვირდება და აღარც ნერვების აშლა.

3. არაბგვილი



— მალე რთველი დაიწყება და ჩვენ თბილისში უნდა ვიჯდეთ?!

— მოიცა კაცო, მგონი დედაშენი ცხოვრობს სადღაც სოფელში!

ახალგაზრდა

მხატვრობის

გვერდი

ნახ. ლ. ფაველნიშვილისა

საქართველო
საბჭოთა კავშირი




— რას მეჭახებით, ადგილი ვერ იპოვეთ ამოდენა ტროლებუსში?

ნახ. რ. გაბრიაძისა




— იმდენს სვამს, ამ მაიმუნიდან კაციშვილი არ გამოვა!

ნახ. ი. დოიაშვილისა




— მამიკო, ძველი ფილმები გახსოვს?
— ზოგი მახსოვს, შვილო, ზოგს ტელევიზორი მაგონებს!

ნახ. ლ. ბაშაღიშვილისა



უტექსტო ხუმრობა

ნახ. ვ. აბროიანისა



— საიდან მიხვდით, რომ ღვინოში წყალია გარეული?
— ძმაო, მეც მიმუშავნია ოფიციატად!

აბრა-გამომხანა



მცირეწლოვანთათვის არის ასეთი რეპუსი— ცხოველის ნახატს მოუწერენ სახელის წინა და ბოლო ასო. დანარჩენი თვითონ ცნობისმოყვარე მოზარდმა უნდა გამოიცნოს და ჩაწეროს. რეპუსი ანვითარებს ბავშვის ფანტაზიას და გონებრივ ჰორიზონტს.

თბილისში მცხოვრების № 12 მალაზიის მესვეურებმა შექმნეს მეტად ორიგინალური რეპუსი— აბრა (ამჟერად მოზრდილ მოქალაქეთათვის). აბრაზე შავზე თეთრით აწერია: „სპორტ-ტანსაი“. ცნობისმოყვარე მოქალაქე უმეველად დაინტერესდება. შვეა მალაზიაში, დარწმუნდება, რომ მალაზია სპორტული ინვენტარითა და ტანსაცმლით ვაჭრობს და კმაყოფილი ქება-დიდებათ მოიხსენიებს რეპუსის გონებაშეხვედრის შემქმნელს. ჩემი არავტორიტეტული აზრით კი ასეთი აბრა-რეპუსი მაინც და მაინც დიდ სამსახურს არ უნდა უწევდეს არც მალაზიას და არც ქალაქს.

კ. ჭაბავაძე

ბავშვების გადაზიდვა

ბავშვების გადაზიდვა
ПЕРЕВОЗКА ДЕТЕЙ

ბავშვები გადაიზიდებიან მხოლოდ უახლოესი საზღვარგარეთის მიმართულებით ანთი ანაზღვი 5 წლის ასაკისა და 12 წლის ასაკის შორის.

ბავშვები გადაიზიდებიან მხოლოდ პირდაპირი მარშრუტით.

ბავშვების გადაზიდვა 5-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის უფასოა.

ბავშვების გადაზიდვა 5-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის უფასოა.

ბავშვების გადაზიდვა 5-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის უფასოა.

როგორც ცნობილია, ბუნებაში არსებობენ სულიერი და უსულო საგნები. როგორც ერთს, ისევე მეორეს თავისი შესატყვისი სიტყვებით გამოხატავენ. მინტერესებს სიტყვა „გადაზიდვა“ სულიერ საგანს მიუღებდა თუ უსულს? და თუ უსულს საგანს, მაშინ რატომ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის აეროფლოტის ვაჭლის მოსაცდელ დარბაზში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული შემდეგი აბრა:

„ბავშვების გადაზიდვა“

ბავშვები გადაიზიდებიან მხოლოდ უფროსი მგზავრის თანხლებით. ერთი ბავშვი 5 წლის ასაკამდე გადაიზიდება უფასოდ, მაგრამ ადგილი არ მიეცემა.

ბავშვების გადაზიდვა 5-დან 12 წლამდე წარმოებს მთლიანი ტარიფის 50%-ით, ცალკე ადგილის მიცემით.

მგზავრი.

როდემდე ასე?

თქმომოქცეულ, დასაგრევედ განწირულ სახლში ცხოვრება რომ დიდი ვერაფერი სიამოვნებაა, ამაში ყველა დამეთანხმება.

არც ქ. ბათუმის გოგებაშვილის ქ. № 70 სახლის მცხოვრებლებს სიამოვნებთ ამ ყოფაში ყოფნა. აქი ამიტომაც, ყოველდღე ხიფათის მოლოდინში, შეწუხებულნი, თხოვნით მიმართეს ქალაქის აღმასკომს:

— არიქა, გვიშველეთ, ჭერი თავზე გვეგრავა... ვიქცევით და ეს არის...

— პანიკას არ ჰქონდეს ადგილი... — შეუტიეს აღმასკომიდან. — „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითირსა“, — ითქვა ეს გენიალური კაცის მიერ და კომენტარები შედგებოდა. მოვა კომისია, შეამოწმებს ადგილზე საქმის ვითარებას და, რაც გასაკეთებელია, გაკეთდება..

მართლაც მოვიდა კომისია...

ახელ-დახედეს განწირულ შენობას, აღწერეს, ჩაწერეს, ჩახაზეს დავთარში სახლის სავალალო მდგომარეობა და გამოიტანეს დადგენილება: გათვალისწინებული იქნას გეგმაში აღნიშნული სახლის კაპიტალური რემონტი. დადგენილების ამონაწერს დაუსვეს ბეჭედი, მოაწერეს ხელი და გაუგზავნეს გოგებაშვილის ქ. № 70 სახლის მცხოვრებლებს გულის დასამშვიდებლად.

ეს იყო 1962 წლის ივნისში...

შოდა, მართლა დიდი ძალა ჰქონია ბეჭედდასმულ მაიმედებელ ქაღალდს, თორემ ქვემოთ მოყვანილი მაშხილებელი სურათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რითი უღვათ სული ეს ერთი წელიწადია ამ დაჩაჩანაკებულ კედლებს, სწორედ რომ საკვირველია...

მაგრამ როდემდე შეძლებენ კედლები ასე ყოფნას?

კანდელ ნანაშა

დიდ ჯიხაიში



მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში 1200 წელი სრულდება დიდი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით დიდი მუშაობა გასწიეს მისი მშობლიური სოფლის — დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის რაიონი) მესვეურებმა.

ნიკოლაძის სახელობის ქუჩაზე ამოავსეს ძველად გაყვანილი სარწყავი თხრილები, მოშალეს ბოგირები, დააგუბეს წყალი და მოაწყვეს ტბა.

სურათზე აღბეჭდილია ამ ქუჩის ერთი ნაწილი 10-დან 25 ნომრამდე. იგი გადაღებულია აგვისტოს თვეში, წყალმცირობის დროს, მაგრამ სურათი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორი პერსპექტიულია ეს ტბა. შემოღობვაზე და განსაკუთრებით კი ზამთარში მთელი ქუჩა უზარმაზარ ტბად იქცევა. მასზე მოეწყობა ნაოსნობა, მთელი დღეობა ამ გზით შემოვა საკომეურნეო ფართობებიდან და აავსებს ბელლებს. განსაკუთრებით კმაყოფილნი დარჩებიან მოსწავლეები, რომლებიც კატერებითა და ნავებით ივლიან სკოლაში. ერთი სიტყვით, იგი დაემსგავსება ფოთის ნავსადგურს, რომელიც ნიკომ გააშენა თავისი პრაქტიკის მიხედვით.

ყოჩად, სოფლის მესვეურებო ასე უნდა მემკვიდრეობის დაფასება და მისი პრაქტიკული გამოყენება.

ჯაყელი

სამსახურა



კაცს რომ სახელი ექნება, იმას აბა რა ჯობია. სახელი რაც უფრო დიდია, მით უკეთესი. ამ ჭაბუკს კი ერთი სახელი კი არა აქვს, როგორ გეკადრებთ, ერთ სახელს როგორ დაჭერდებოდა, სამი სახელი ჰქვია: გვიცი;

რეზოც, გურგენიც, გვარად ჭარაია. ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშიდან.

ერთი სიტყვით, ოდიშელია, კოლხი, მაგრამ სახელოვანი კოლხების სახელოვან საქმეთა გამგარძელებელი კი არა, უსახელოთა კვალში ჩამდგარი და მათი „საქმის“ ქომაგი.

კომეურნეობაში გახურებული მუშაობა რომ არის, მიატოვებს თავის სოფელს, გვირგეზო-გურგენი, ჩაისერიანებს ზუგდიდში, გამოთვრება, როგორც მის გულს გაუხარდება, მერე ხან რკინიგზის სადგურში გავა, ხან ავტოსადგურში, ხან ჩემოდანს ნახავს „ცუდად დაღებულს“, ხან კიდევ სხვა რამეს და იოლად გადის.

არა და, თუ ვერაფერი მოიხელთა, იჩსუბებს თავის ამფსონებთან და გაწვილებული დაბრუნდება ოდიშს.

ახლა პირობას დებს, გამოგსწორდებო. ვნახოთ, ხომ არის ნათქვამი:—ადღვომა და ხვალეო.

გულშემატკივარი

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქტორი ნ. შველიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 16/IX-1963 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შევ. № 1974 უფ 07265. ტირაჟი 40.000

ნახ. გ. ლომიძისა



ნატო
 ცენტრალური
 ევროპის
 ზონის
 ქვეითი ჯარების
 მთავარსარდალი

ნატოს ცენტრალური ევროპის ზონის ქვეითი
 ჯარების მთავარსარდალად, ყოფილ პიტლერელი
 გენერლის შპაიდელის ნაცვლად, დაინიშნა მე-
 ორე სამხედრო დამნაშავე გენერალი ფონ კილ-
 მანერი.

მთავარსარდალთა მემანიაური ცვალებადობა.